„ყველაფერს ვაკეთებთ, რომ მანქანა, რომელიც მავთულხლართებით გადაადგილების თავისუფლებას ხელს უშლის, შევაჩეროთ...“

02.02.2017

სახელმწიფო მინისტრი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში ქეთევან ციხელაშვილი ფიქრობს, რომ ვიზალიბერალიზაცია ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობაში დაინტერესებას გამოიწვევს. მითუმეტეს იმ ფონზე, როცა ცხინვალსა და აფხაზეთში რუსიფიკაციისა და იზოლაციის ინტენსიური პროცესი მიდის. მინისტრი არ ვარაუდობს, რომ დასაწყისისთვის ქართული პასტორტის მიღების მსურველთა რიცხვი მკვეთრად გაიზრდება, თუმცა იმაში კი დარწმუნებულია, რომ ვიზალიბერალიზაცია ყველა მოქალაქისთვის მიმზიდველი იქნება.

„საქართველოს ევროპული ინტეგრაცია, ევროპული გზით განთვითარება, ზოგადად განვითარება ეკონომიკურიც და დემოკრატიულიც, კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია და რა თქმა უნდა, ზრდის ამ პერსპექტივებს,“ - აცხადებს „რეზონანსთან“ საუბრისას ქეთევან ციხელაშვილი.

მინისტრს ვიზალიბერალიზიასა და ამ პროცესის კონფლიქტებზე გავლენის საკითხზე ვესაუბრეთ.

ქეთევან ციხელაშვილი: ის, რომ საქართველო მიმზიდველი და განვითარებული ქვეყანა ხდება და ახალი შესაძლებლობები ეხსნება, როგორიც არის მაგალითად, უვიზო მიმოსვლის ან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების, უკეთესი ჯანდაცვისა და განათლების მიღების შესაძლებლობა, ეს ფაქტია. საქართველო, როგორც ევროპული ქვეყანა საუკეთესო ევროპულ პრაქტიკას ითვალისწინებს, როცა ადამიანის უფლებების მაღალ სტანდარტს იცავს.

ამასთან, ყველა ეთნიკური ჯგუფის, ინდივიდის, იდენტობის დაცვის ვალდებულებასაც იღებს. რეალურად ვიზალიბერალიზაციის სიკეთე ორ რამეში გამოიხატება - ერთი მხრივ, მატერიალურად გაზომვადი სიკეთეა და მეორე მხრივ, არის დაცული იდენტობა, ადამიანის უფლებები, მათ შორის, ეთნიკური ჯგუფის უფლებები. მგონია, რომ ეს ერთობლიობაში ძალიან მიმზიდველ მოდელს ქმნის, მათ შორის, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირებისთვის. თან ეს იმ ფონზე, როცა იქ რეალურად დეფაქტო რუსიფიკაციის საკმაოდ ინტენსიურ პროცესთან გვაქვს საქმე.

„რეზონანსი“: როგორ ფიქრობთ, მას შემდეგ, რაც საქართველომ ვიზის ლიბერალიზაცია მიიღო, თუ გაიზრდება ქართული პასპორტების მიღების მსურველთა რიცხვი? ვგულისხმობ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირებს...

ქ.ც: დასაწყისისთვის ჩვენი ამოცანაა, ეს პროცესი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მაცხოვრებლებისათვის მაქსიმალურად ხელმისაწვდომი თავადვე გავხადოთ, რაც იმას ნიშნავს, რომ უსაფრთხოების ზომების გათვალისწინებითა და აუცილებელი პროცედურების დაცვით, (რასაც ვერ გადავალთ პროცედურულადაც და გეოგრაფიულადაც) ეს სიკეთე ხელმისაწვდომი გავხადოთ. ვფიქრობ, ეს შეთავაზება თავის როლს აუცილებლად შეასრულებს იმ თვალსაზრისით, რომ მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი ჰუმანუტარული და არა მხოლოდ ჰუმანიტარული საგრებელი იქნება, რაც ინტერესს უთუოდ გამოიწვევს. არ ველოდები, რომ ამოქმედებინად მეორე დღესვე ამ რიცხვში დრამატული ზრდა იქნება, თუმცა ვფიქრობ, რომ უვიზო მიმოსვლა ყველას თანაბარ სარგებელს მოუტანს.

„რ“: იმ ფონზე, როდესაც რუსეთმა სულ ახლახანს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, კერძოდ კი, აფხაზეთში რამდენიმე გადასასვლელი ჩაკეტა და როდესაც თავადვე ამბობთ, რომ იქ რუსიფიკაციის ინტენსიური პროცესი მიდის, ხომ არ ფიქრობთ, რომ იქ მცხოვრები ადამიანების დაინტერესებითა და გადაადგილებით, რაიმე სირთულეს წავაწყდებით? როგორ ფიქრობთ, როგორი იქნება რუსეთის დამოკიდებულება?

ქ.ც: მათი დამოკიდებულება ისედაც გასაგებია, ყოველ შემთხვევაში დღეს მათი პოზიცია და ქმედება ამ ტერიტორიებზე ცალსახა და თვალსაჩინოა. საუბედუროდ ესაა: საოკუპაციო რეჟიმი, ჯარები, ტანკები და მკაცრი კონტროლი გამყოფ ხაზებთან. ჩვენი სახელმწიფო ვიზალიბერალიზაციას ვერ აღიქვამს ურთიერთობების გამწვავებად. ევროპული ინტეგრაცია, არათუ ვიზის ლიბერალიზაცია, არავის წინააღმდეგ არაა მიმართული, ის მხოლოდ ქვეყნისა და მოსახლეობის კეთილდღეობისკენაა მიმართული, ამიტომ ამ პროცესს არანაირ კონფრონტაციულ ნაბიჯად არ აღვიქვამთ. შესაბამისად, არც ველოდებით, რომ ის რაიმე განსაკუთრებულ გართულებებს გამოიწვევს.

როგორც უკვე გითხარით ხდება ის, რომ არის ნეგატიურ პროცესები, გადასასვლელების ჩაკეტვის ტენდენცია, კონტაქტების ხელის შეშლის ტენდენცია, რომელიც ჯერ კიდევ გასული წლის გაზაფხულზე დაიწყო, როცა ოკუპირებულ ტერიტორიებზე 6-იდან 2 გამშვები პუნქტი ჩაიკეტა. ამ ფაქტებზე ჩვენ სრული მობილიზება მოვახდინეთ და ისიც ცხადია, რომ პარტნიორებიც მხარს გვიჭერენ. ყველაფერს ვაკეთებთ პრევენციისთვის ხურჩასა და ორსანტიას მონაკვეთებზე. ამდენად, ეს მექანიზმები გარკვეულწილად ჩართულია.

შესაძლოა ვინმეს შერიგების პროცესი და კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება არ მოსწონდეს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ ეს ნაბიჯები არ გადავდგათ. მოდით ასე ვთქვათ - ეს ნაბიჯები მოსახლეობის კეთილდღეობისთვისაა გათვლილი, რადგან რეალურად ეს დღე შესაძლებლობებს უქმნის ხალხს,

რომელიც იმ რეჟიმის მიერ იზოლირებულ გარემოში ცხოვრობს, მაგალითად, კილომეტრობით მავთულხლართებით შემოსაზღვრულ ცხინვალში. ეს პროცესი კი რეალური შესაძლებლობაა ადამიანებისთვის არათუ მეზობელთან და მეგობართან რამდენიმე მეტრს იქით გადავიდეს, არამედ იმოგზაუროს ევროკავშირის ქვეყნებში და შესაბამისად, სრულიად ახალ შესაძლებლობებს ქმნის.

„რ“: რაიმე რისკ-ფაქტორებს თუ ხედავთ ამ პროცესში?

ქ.ც: ვერ გეტყვით ასეთი რისკ-ფაქტორები რა შეიძლება იყოს, თანაც ვიზის ლიბერალიზაცია არ ხდება დღეს, ეს გახლავთ პროცესი, რომელიც ძალიან დიდი ხანია მიმდინარეობს. საქართველომ უამრავი რეფორმა, პროცედურა გაიარა და უვიზო მიმოსვლა სრულიად დამსახურებულად მიიღო, დღეის შემდეგ მხოლოდ ტექნიკური პროცედურები რჩება. ზოგადად, ჩვენ ვხედავთ ტენდენციებს და ფაქტი სახეზეა - ჩვენ მივდივართ ევროპისკენ და იქ ინტენსიური რუსიფიკაციის ან კიდევ უფრო მკვეთრი იზოლაციის პროცესი მიდის.

ამასაც ვხედავთ, რომ მეტი დაინტერესება არის, თუმცა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მოსახელობის მხრიდან, გარკვეული კონტაქტების განვითარების ახალი შესაძლებლობების გამოყენების და უკეთესი მომავლის პერსპექტივების მიმართ დაინტერესების ტენდენციაც აშკარად სახეა.

კიდევ ერთხელ გეტყვით, რომ ჩვენ რაღაც პიარულ ნაბიჯებს არ ვდგამთ მიზანმიმართულად, მითუმეტეს არც კონფრონტაციულს, ამიტომ ძალიან მშვიდად და წყნარად, საქმის კეთებით მგონია, რომ შევძლებთ იმას, რომ სწორად გამოვიყენოთ ეს მექანიზმების ხალხის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მეორე მხრივ, კი ყველაფერს გავაკეთოთ იმისთვის, რომ მანქანა, რომელიც მავთულხლართებით დაწყებული, სხვადასხვა დაბრკოლებებით დასრულებული გადააგილების თავისუფლებას და კონტაქტების განვითარებას უშლის ხელს, შევაჩეროთ.

გარდა ამისა, აუცილებელია არა მხოლოდ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მაცხოვრებლებმა, არამედ ნებისმიერმა საქართველოს მოქალაქემ, ვინც საქართველოს პასპორტის მფლობელია, წესებს, რეგულაციებს კარგად გაეცნოს და გაიაზროს რას ნიშნავს ვიზის ლიბერალიზაცია. ამის ახსნა ჩვენი ვალდებულებაცაა, რათა პროცესი არალეგალური მიგრაციის ინსტრუმენტი არ გახდეს, ამიტომ ჩვენც პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ იმას, რაც ქვეყანამ დიდი შრომის შედეგად მიიღო.

ცხადია, სახელმწიფო თავის მხრივ პასუხისმგებლობით მოეკიდება იმას, რომ სწორად გამოვიყენოთ ეს მექანიზმი და ყველა სარგებელი, რომელიც შეიძლება მოიტანოს მან მაგალითად, ბიზნესის, ხელოვნების, ახალგაზრდების ცნობიერების, კულტურული კავშირებისთვის, რაც ახალ სივრცეებს ქმნის.

სალომე სარიშვილი